შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო შენობა აშენდება ქ. თბილისში, მარჯანიშვილის 31ა-ში, ს/კ 01.16.05.003.002. საცხოვრებელი სახლი შედგება 1 მიწის დონის ქვედა და 4 მიწის დონის ზედა სართულისაგან. სარდაფში განლაგდება ტექნიკური დანიშნულიბის დანადგარები. ობიექტი გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონის ვარიანტში ბლოკის შემავსებლით. შენობის საძირკველს შეადგენს რკინაბეტონის ფილა. სახურავი იქნება ბრტყელი. 0.00 შეესაბამება 405.34 მ-ს.

სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ. 479 პ.4-ის T=10.00თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=10.00+5.50=15.50 თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით **T=15.50x1.15=18.00 თვე,** სადაც 1.00 თვე----მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა.

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:

--დროებითი ღობის მოწყობა არსებული შემოღობვის გათვალისწინებით;
--დროებითი "ნაგებობის" განლაგება უსაფრთხო ზონაში და შემდეგ აშენებულ ნაწილში;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

3 . გრუნტის დამუშავება მოხდეს ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტდეს მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გადატანა.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ხელით და სტაციონალური ბეტონის ტუმბოს საშუალებით. მექანიზმის "დგომა" მოხდება "1" ღერძთან, სამშენებლო მოედანზე. სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდეს ხელით. უსაფრთხოების თვალსაზრისით "E" ღერძის გასწვრივ, იატაკის დონეზე გაკეთდეს ბადიანი საფარები. შეზღუდული პირობების გამო გარე კიბე და პირველი სართულის აივნების მოწყობა მოხდეს მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების ბოლოში.

სამუშაოების განხორციელების რიგები და ეტაპები:

მშენებლობის პირველი რიგი:

--პირველი ეტაპი----------სამშენებლო მოედნის მოწესრიგება არსებული შენობის დემონტაჟი---------- **45 დღე;**

--მეორე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება---------- **30 დღე.**

მშენებლობის მეორე რიგი:

--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა--ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე----------**150 დღე;**

--მეოთხე ეტაპი----------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან, შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა----------**210 დღე;**

--მეხუთე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**150 დღე.**

5. **უსაფრთხოების ტექნიკა**

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1 ერთად.

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები----------	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა----------	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად----------	60.00მ
	-ჰორიზონტალურად----------	200.00მ

ყურადღება!!! მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.



პირობითი ალნიშვნები

-საპროექტო შენობა

-არსებული შენობა

-დროებითი "ნაგებობა"

-დროებითი ღობე

ექსპლიკაცია

1	საპროექტო სახლი
2	არსებული შენობა
3	სტაციონალური ბეტონის ტუმბო
4	ბეტონის მიქსერი
5	დროებითი ღობე
6	გენერატორის განთავსების ადგილი
7	დროებითი ბიოტუალეტი
8	სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
9	დროებითი დახურული საწყობის "შართი"
10	დროებითი კვების "შართი"
11	დროებითი ღია საწყობის "შართი"

A3

მო-1

[redacted]

[redacted]

[redacted]

NS Studio
0179 ბაზალეთის ქუჩა 3
ქ. თბილისი , საქართველო .
Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ტერიტორიაზე მშენებლობის პროექტი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ლუკა ჩაგანავა
ნინო ჭანტურია
ივანე ბალიაშვილი
თამთა გოცაძე
ანკა მარგოშია
ზელა გოგოლაური

ქ. თბილისი 2023წ

ბ/ კალენდარული გეგმა 18.0 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები																																			
			1		2		3		4		5		6		7		8		9		10		11		12		13		14		15		16		17		18	
			15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15
	მშენებლობის პირველი რიგი																																					
	მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																																					
I	სამშენებლო მოედნის მოწესრიგება,არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი	45																																				
II	შენობა-ნაგებობის ბრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	30																																				
	მშენებლობის მეორე რიგი																																					
	მშენებლობის განხორციელების ძირითადი პერიოდის სამუშაოები																																					
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე	150																																				
IY	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო–ტექნიკური ქსელების მოწყობა	210																																				
Y	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	150																																				

შენიშვნა მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.

დაამუშავა: / ბ. გოგოლაური /



შენიშვნა:
პირობითი აღნიშვნები:

⊠	დროებითი ღობე და ჭიშკარი
—წყ—	წყალსადენის დროებითი ქსელი
☼	პროჟექტორი
N	სატრანსფორმატორო შენობა
⊡	წყლის ონკანი

ექსპლიკაცია

1. სადემონტაჟო შენობები
2. სამუშაოოთა მწარმოებლის ოთახი.
3. მუშების გასახდელი.
4. დროებითი საპირფარეშო ხელსაბანით
5. წყლის ონკანი
6. ფარდული საკუჭნაოთი
7. დროებითი საწყობი
8. □□□□□□ □ □□□□□ □□□□
9. დაცვის ჯიხური
10. მცირე ზომის ავტოთვითმცლელი

A–3	
1	
obieqtis dasaxeleba:	ქალაქი თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა, №31ა ს/კ 01.16.05.003.002
naxazi:	gen–gegma
damkveTi	Sps "NS Studio"
Semsrulebeli	Sps "MegaWatt"
eqsplikacia	
proeqti #	

Sps "MegaWatt.ge"
Tbilisi, maiakovskis q. #1
tel: 577 18 00 65
E-mail: info@mw.ge

1:200 | TariRi: 06.2023

შ.პ.ს. „ **MegaWatt.ge** “

ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა #31ა (ს.კ.: 01.16.05.003.002) არსებული შენობა - ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის

პ რ ო ე ქ ტ ი

შეადგინა:

/ა.ბელოუსოვი/

თბილისი 2023 წლის

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი.

2. ობიექტის დასახელება.

3. მშენებლობის ვადა. მშენებლობის წარმოების მეთოდი.

4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე. სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი.

5. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით.

6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

7. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

8. სადემონტაჟო გენ-გეგმა (განმარტებითი ბარათი).

9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

10. დანართები:
    - სამშენებლო გენ-გეგმა 1:500
    - სამუშაოების კალენდარული გეგმა.

1. შესავალი

წინამდებარე დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია მუშა პროექტის მონაცემების საფუძველზე და აგრეთვე გათვალისწინებულია მოქმედი ნორმები, წესები და ინსტრუქციები (“სნ და წ - 1.04.03.85“, “სნ და წ - 3.01.01.85“, „სნ და წ - III-4-80“, „სნ - 73“)

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებულია, როგორც მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები, ასევე უსაფრთხოების დაცვის, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები.

2. ობიექტის დახასიათება

ტერიტორია მდებაორეობს: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა #31ა (ს.კ.: 01.16.05.003.002), არსებული შენობა - ნაგებობა:

- სადემონტაჟო შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა გაბარიტული ზომებით (25.97×15.18) მ. შენობა ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე. შენობის სიმაღლე პარაპეტის ჩათვლით შეადგნს: H=6,10 მ.

ტერიტორიას გააჩნია სწორი რელიეფი. სადემონტაჟო ნაგებობის ძირითადი ნაწილი აშენებულია წითელი აგურით, ბეტონის ცოკოლზე.

შენობას გააჩნია ბეტონის ლენტური საძირკვლები ბმ-150; მოწყობილია ბეტონის იატაკი ღორღის ფენაზე.

კედლების და პარაპეტის წყობაში გამოყენებულია აგური.

შენობაში ჩართულია რ/ბ-ის ჩარჩოები და კოჭები, გადახურვის დონეზე მოწყობილია რ/ბ-ის სარტყლები.

გადახურვაში გამოყენებულია ხის კოჭები და მოთუთიებული თუნუქის ფურცლების ოთხქანობიანი გადახურვა.

ტერიტორიის (ეზოს) ფართი შეადგენს 632,46 მ²-ს. მიწის ნაკვეთს გააჩნია სწორი რელიეფი. ტერიტორია ერთი მხრიდან შემოსაზღვრულია უბნის გზით და სამი მხრიდან - ესაზღვრება მეზობლების ნაკვეთებს.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ტერიტორიის ფართობი - 632,46 კვ.მ.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ფართი:

სადემონტაჟო შენობის ფართობი - 317,00 კვ.მ.

სადემონტაჟო შენობის მოცულობა - 2221.60 მ³.

3. მშენებლობის ვადა, მშენებლობის წარმოების მეთოდები

სადემონტაჟო ობიექტეს სამშენებლო მოცულობა ტოლია V=2221,60 მ³; მისი დემონტაჟის და ტერიტორიის სამშენებლო ნაგავისგან დასუფთავების ხანგრძლივობა განსაზღვრულია „საწარმოების შენობების და ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის“ შესაბამისად) სნ და წ. 1.04.03.85 და სნ. 440-72).

ნორმების შესაბამისად დემონტაჟის ხანგრძლივობაა 3.0 თვე. მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა - 15.0 დღე. ე.ი. T=3.0 თვე,

სამუშაოების დაწყებამდე უნდა დავაწენოთ დროებითი ღობე და მოვაწყოთ ალაყაფის კარები. მოსამზადებელ პერიოდში სამშენებლო მოედანზე უნდა მოეწყოს დროებითი ნაგებობები, სადაც განლაგდება სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი, მუშების გასახდელი და იარაღების შესანახი სათავსო. ობიექტზე ასევე უნდა მოეწყოს დროებითი საპირფარეშო ხელსაბანით. „სნ დაწ. III-4-80-ის შესაბამისად. სივრცის სიმცირის გამო დროებით სამუშაო სივრცეებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არსებული ნაგებობები.

წყალსადენის, კანალიზაციის და ელ. მომარაგების დროებითი ქსელები დაერთებულია არსებულ ქსელებთან.

სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩიჭრას ობიექტის მკვებავი წყალსადენები და ელ. კაბელები.

მოსამზადებელ პერიოდში სამუშაეობის წარმოებისას შესაძლებელია დროებით შენობა-ნაგებობებიდან გამოყენებულ იქნეს არსებული შენობა.

სადემონტაჟოს სამუშაოებს ვიწყებთ კარ-ფანჯრებისა და სახურავის კონსტრუქციების დაშლით. დემონტაჟით მიღებული სამშენებლო ნაგავი გაგვაქვს დემონტაჟის სამუშაეობის პარალელურად, ხელით.

ხელით წარმოებს ასევე სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე.
რ/ბეტონის სარტყლების და მონოლითური უბნების დაშლა ხდება საშუალო ზომის პნევმოჩაქუჩით.

პნევმოჩაქუჩის გამოყენებით ვაწარმოებთ ასევე რ/ბ-ის ჩარჩოების, კოჭების და ბეტონის იატაკებისა და საძირკვლების დაშლას.

სართულის დემონტაჟით წარმოქმნილ და ნაწილობრივ სახურავიდან ჩამოცვენილ სამშენებლო ნარჩენებს ა/თვითმცლელებზე ვტვირთავთ მცირე ზომის მტვირთავის - („ბობკატის“) გამოყენებით.

დამუშავებული გრუნტის და დაშლილი საძირკვლების დატვირთვას ასევე ვაწარმოებთ მცირე ზომის მტვირთავით, რათგან ადგილის უკმარისობის გამო შეუძლებელია მსხვილი სამშენებლო ტექნიკის (ექსკავატორის) გამოყენება. იგივე მიზეზის გამო, სამშენებლო ნარჩენების გატანა ობიექტიდან ხდება შედარებით მცირე ზომის ავტოთვითმცლელებით.

4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე. სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი.

მშენებლობის მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით არსებული ნორმების მიხედვით) სნ-73 გვ. 24).

ჩვენს შემთხვევაში დემონტაჟისა და სამშენებლო ნაგვის ტერიტორიიდან გასატანად შევარჩიეთ

1. <u>ავტოთვითმცლელი</u> ტვირთამწეობით 10,0 ტონამდე - 1.0 ც.
2. ავტომტვირთავი „ბობკატი“ V=0,4 მ³ -1.0 ც.

სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნათა ნაკრები უწყისი:

N	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
ა) სამშენებლო მექანიზმები				
ბ) სატრანსპორტო საშუალებები, მექანიზმები და ინსტრუმენტები				
1	ავტოთვითმცლელი	ცალი	2.0	ტვირთამწეობით 12,0 ტნ-მდე
2	ავტომტვირთავი „ბობკატი“	ცალი	1.0	V=0,6 მ³
3	კომპრესორი გადასატანი	ცალი	1.0	CO-45
4	ინსტრუმენტები (ურო, ძალაყინი, წერაქვი, ნიჩაბი-3 ც.) და სხვა	კომპ.	4.0	
6	სამშენებლო ბადე (მტვრისგან დამცავი)	ცალი	4.0	(3,0×6,0) მ.
7	შედურების აპარატი	ცალი	1.0	
8	პნევმატური ჩაქუჩი „ბოში“	ცალი	2.0	

5. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით

მშენებლობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და სასმელ-სამეურნეო წყალზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით. არსებული ნორმებით (სნ-73 გვ. 18) და (სნ-73 გვ. 12).

ჩვენს შემთხვევაში:

1. მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე შეადგენს:

   0.01 ლიტ/წმ.

2. მოთხოვნილება ელექტროენერგიზე შეადგენს:

   2.0 კვტ.

მშენებლობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და სასმელ-სამეურნეო წყლით მიზანშეწონილია განხორციელდეს არსებული ქსელლებით.

6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია: სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის, მუშების გასახდელის, საყარაულო ჯიხურის და დროებითი საპირფარეშოს მოწყობა ხელსაბანით.

დროებითი შენობა-ნაგებობების საჭირო ფართებს ვანგარიშობთ მომუშავე პერსონალის რაოდენობის მიხედვით (სნ-73 ცხ. 52).

1. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი

$F_1 = 1 \times 4.0 + 4.0\ მ^2 = 8.0\ მ^2$

სადაც 1 არის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა;
4.0 არის ნორმალური ფართი ერთ პერსონალზე;
6.0 არის სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის ფართი.

2. მუშების გასახდელი და ინსტრუმენტების შესანახი

$F_2 = 12 \times (0.6 + 1.2) = 21.6 \approx 24.0\ მ^2$ (სნ-73 ცხ. 51).

3. საყარაულო ჯიხური 1 კაცზე

$F_3 = 1 \times 4.0 = 4.0\ მ^2$

4. დროებითი საპირფარეშო 1 ადგილიანი ხელსაბანით

$F_4 = 12 \times 0.15 + 6.0 = 2.4\ მ^2$ (ფაქტ - 2.5 $მ^2$)

5. საშხაპე 2 ადგილზე

$F_5 = 12 \times 0.30 = 23.6$ მ² (ფაქტ - 4.0 მ²)

7. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებები

უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებები. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისიწნებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით;
2. მექანიზმების მუშობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეთა და უცხო პირთა სამშენებლო მოედანზე ყოფნა;
3. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სახიფათო ზონაში დაუშვებელია;
4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტანდარტში 12.1.013-88 ელექტრო-კარადა ყოველთვის უდნა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში; ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

8. სამშენებლო გენ-გეგმა (განმარტებითი ბარათი)

სამშენებლო გენგეგმა შედგენილია 1:500 მასშტაბში; მასზე დატანილია დროებითი გზები, წყალსადენის, ელ მომარაგების და ტერიტორიის განათების მოწყობის სქემა, მთავარი გამანაწილებელი კარადა.

სამშენებლო მოედანი შემოღობილია ლითონის ღობით და მასზე განთავსებულია შემდეგი დროებითი ნაგებობები:

1. სამუშაოთა მწარმოებლის ოთხი - 8.0 მ²
2. მუშების გასახდელი - 24.0 მ²
3. საყარაულო ჯიხური - 4.0 მ²
4, დროებითი საპირფარეშო - 2.5 მ²
5. საშხაპე - 4.0 მ²

შენიშვნა: N 1, 2 და 3 პუნქტებში ჩამოთვლილი სათავსოების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ვაგონის ტიპის გადასაადგილებელი სათვსოები:

(YTC H20-01-3); (YTC H20-01-6); ან დამხმარე ნაგებობები.

დემონტაჟის პროცესში, სადემონტაჟო დროებითი მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთნხმებული სატრანსპორტო სქემის, მათი

მითითებებისა და ნორმების მიხედვით. მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი, შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

9. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები

9.0 როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამზადებელ პერიოდში მოიჭრება და ამოიძირკვება ის ნარგავები, რომელთა გადარგვა შეუძლებელია ან ხმება; დანარჩენი ნარგავები და ბუჩქნარი, რომელთა გადარგვა შესაძლებელია უნდა გადავრგოთ გამწვანების ზონაში;

9.1 დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან, დანაგვიანებისგან და საკანალიზაციო წყლებით დაბინძურებისგან თავის აცილების მიზნით;

9.2 დროებითი საპირფარეშოს მოწყობისას ამოსაკეპ ორმოზე, სესტემატიურად უნდა ხდებოდეს საკანალიზაციო წყლის დამუშავება სადენზინფექციო სითხით და ქლორით;

9.3 მწვანე ნარგავების მოჭრა და გადარგვა უნდა მოხდეს გარემოს დაცვის სამსახურთან შეთნხმების შემდეგ;

9.4 სამშენებლო ნაგავის ტრანსპორტირება უნდა ვაწარმოოთ ძარაზე მოწყობილი ბრეზენტის საფარი.

შუალედური საექსპერტო დასკვნა
ქალაქ თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში მდებარე, შპს „თეძამი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.16.05.003.002) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტზე.

ქ. თბილისი 2023 წლის 05 ივნისი

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში მდებარე, შპს „თეძამი“-ს (ID ნომერი: 202906294) საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.16.05.003.002] მდებარე შენობა-ნაგებობების (შენობა-ნაგებობები: 01/1 და 02/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში (ს/კ: 01.16.05.003.002) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“ (პროექტი დამუშავებულია შპს „MegaWatt.ge“-ს ინჟინერ ა. ბელოუსოვის მიერ).

„ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში (ს/კ: 01.16.05.003.002) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“ -ს მიხედვით დემონტაჟს ექვემდებარება ტერიტორიაზე არსებული ორი შენობა (შენობა-ნაგებობები: 01/1 და 02/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), მაგრამ ტერიტორიაზე მდებარეობს მესამე შენობაც (ორსართულიანი შენობა 03/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომლის თაობაზეც პროექტში არ არის მინიშნებული. სადემონტაჟე ტერიტორია მდებარეობს № 01.16.05.003.002 საკადასტრო კოდის მქონე ტერიტორიაზე. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები სავარაუდოდ აშენებულია XX-საუკუნის შუა პერიოდში.

საექსპერტოდ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში (ს/კ: 01.16.05.003.002) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“ შედგება შემდეგი თავებისგან: 1. შესავალი; 2. ობიექტის დახასიათება (სადაც მოცემულია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც); 3. მშენებლობის ვადა, მშენებლობის წარმოების მეთოდები; 4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე. სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი; 5. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით; 6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები; 7. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებები; 8. სამშენებლო გენ-გეგმა (განმარტებითი ბარათი); 9. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები; პროექტში გრაფიკის სახით დამუსავებულია „კალენდარული გეგმა“ (რომლის მიხედვითაც სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს), ხოლო პროექტის გრაფიკულ ნაწილში დამუშავებულია: სადემონტაჟო გენ-გეგმა (რომელიც წარმოდგენილ მასალაში დაფიქსირებულია როგორც „გენ-გეგმა“);

სადემონტაჟო შენობის აზომვითი ნახაზები (გეგმები, ფასადები და ჭრილი), სადაც ერთსართულიანი შენობისთვის დამუშავებულია სამი გეგმა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით უნდა განხორციელდეს № 01.16.05.003.002 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე არსებული: 01/1 და 02/1 (საკადასტრო გეგმის მიხედვით) შენობა-ნაგებობების სრული დემონტაჟი. სადემონტაჟო შენობები განთავსებულია ქალაქ თბილისში, ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ უბანში, ჩუღურეთში (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ზონა – თბილისი, სექტორი – ჩუღურეთი), რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71-ე დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტი (დანართი 3)-ის – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, პიკური აჩქარებით A=0,17.

ზემოხსენებული დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის (დანართი 5) – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– სამშენებლოდ გამოყოფილ კონკრეტულ უბანზე მონაცემების არარსებობის გამო, ტერიტორიის მდებარეობის გათვალისწინებით, ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობად შესაძლებელია მიღებულ იქნას – 0,48 კპა-ს) (15-წელიწადში ერთხელ).

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის შესწავლის მიზანია პროექტის შესაბამისობის დადგენა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებთან. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილების: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, V თავი-ს მე-18 მუხლის – „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი“-ს (ჩვენს შემთხვევაში „დემონტაჟის ორგანიზების პროექტი“) მოთხოვნები. ამავე დადგენილების მე-10 თავის მიხედვით სადემონტაჟო ობიექტი შეგვიძლია მივაკუთვნოთ III-კლასს, აქედან გამომდინარე 255-ე დადგენილების V თავი-ს მე-18 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოთხოვნით მშენებლობის (ჩვენს შემთხვევაში „დემონტაჟის“) ორგანიზების პროექტი უნდა მოიცავდეს: „მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკს, მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის მიხედვით“ და ეტაპების რაოდენობა უნდა იყოს: ... დ.ბ) „III კლასის მშენებლობისას – მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 ეტაპი“, მაგრამ სადემონტაჟო სამუშაოების ერთგვაროვნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, დემონტაჟის პროექტის ეტაპები შეიძლება შეირჩეს პირობითად. წინამდებარე პროექტშიც შემსრულებელმა სამუშაოები პირობითად

განახორციელა 5 (ხუთ) ეტაპად: **„მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები“**: I-ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები (დროებითი წყალსადენი და ელ. სელი, მუშების გასახდელი და საპირფარეშო და სხვა ...); **„ძირითადი სამუშაოების პერიოდი“**: II-ეტაპი: „სახურავის ფენის დაშლა კონსტრუქციამდე და სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ა/თვითმცლელებზე, სართულშუა გადახურვის ფილების დემონტაჟი; III ეტაპი: რ/ბეტონის სარტყელების და კოჭების დაშლა პნევმატური ჩაქუჩით, შიდა კედლების დაშლა და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე“; IV-ეტაპი: „გარე კედლების დაშლა და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე“; V-ეტაპი: „ბეტონის საძირკვლების დაშლა პნევ. ჩაქუჩით (ბმ-150); სამშ. ნარჩენების გატანა ა/თვითმცლელებით ნაგავსაყრელზე“.

პროექტში განმარტებულია: სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები; შრომისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები.

„ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში (ს/კ: 01.16.05.003.002) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“ ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. „ობიექტის დახასიათება“-ში (გვ. 3) დაფიქსირებულია უნებლიე შეცდომა, რომ თითქოს „სადემონტაჟო შენობა გეგმაში ოთხკუთხედი მოხაზულობისაა გაბარიტული ზომებით (25,97X19,01) მ.“. რეალურად პროექტში მოხსენებული შენობა გეგმაში რუსულ **„Г“**-ს მიმგავნებული ფორმისაა, ხოლო რაც შეეხება ერთ-ერთ ზომას, 19,01-ს, ის არა შენობის, არამედ ტერიტორიის (ეზოს) სიგანეა. საჭიროა უზუსტობების აღმოფხვრა.

2. პროექტში უნდა იყვეს დაფიქსირებული, რომ: **„დემონტაჟის პროცესში, სადემონტაჟო დროებითი სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემის, მათი მითითებებისა და ნორმების მიხედვით. მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები“**.

3. „კალენდარული გეგმა“-ს **„ძირითადი სამუშაოების პერიოდი“**-ის II-ეტაპი-ს (გრაფიკზე დაფიქსირებული, როგორც I ეტაპი) სამუშაოებად დაფიქსირებულია – „სახურავის ფენის დაშლა კონსტრუქციამდე და სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ა/თვითმცლელებზე, სართულშუა გადახურვის ფილების დემონტაჟი; რადგანაც შენობა ერთსართულიანის, სართულშუა გადახურვის ფილები დაფიქსირებულია შეცდომით. საჭიროა უზუსტობის აღმოფხვრა.

– გრაფიკული ნაწილის დასახელება – „გენ-გეგმა“, უნდა შეიცვალოს „სადემონტაჟო გენგეგმა“-თი, რომელზეც დატანილ, ტერიტორიის დროებით ღობესთან მოწყობილ შესასვლელ ალაყაფთან (ჭიშკარი) უნდა გათავსდეს დროებითი საკონტროლო ჯიხური, რომლიდანაც უნდა გაკონტროლდეს ტერიტორიის უსაფრთხოება, რათა გამოირიცხოს უცხო პირის შემთხვევითი მოხვედრა ტერიტორიაზე, ან შემოღობილი ტერიტორიის შესასვლელ ჭიშკართან საჭიროა მითითებულ იქნას, რომ სადემონტაჟო ტერიტორიის უსაფრთხოებას აკონტროლებს სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც ასევე დაარეგულირებს სამშენებლო ნაგვის გატანის დროს დროებით სატრანსპორტო მოძრაობასაც. 02/1 შენობაში ამჟამად განთავსებულია საპირფარეშო, რადგანაც ეს შენობა 01/1 შენობასთან ერთად ექვემდებარება დემონტაჟს, შესაბამისად საპირფარეშო გაუქმდება, ამიტომ საჭიროა, რომ ტერიტორიაზე განთავსდეს დროებითი საპირფარეშო ხელსაბანით ან ბიოტუალეტი. „სადემონტაჟო გენგეგმა“-ზე, უსაფრთხო ზონაში, დატანილ უნდა იქნას „ექსპლიკაცია“-ში ჩამოთვლილი ყველა დროებითი ნაგებობები. ტერიტორიის ღობის კედელზე (შესასვლელ ჭიშკართან) უნდა განთავსდეს საინფორმაციო ბანერი.
– სადემონტაჟო შენობის აზომვით ნახაზზე ერთსართულიანი შენობისთვის დამუშავებულია სამი გეგმა. საჭიროა ნახაზის კორექტირება.

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31ა-ში (ს/კ: 01.16.05.003.002) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“-ს მიეცეს დადებითი შეფასება სამუშაოების დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

CV

რამაზ აფხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

შ.პ.ს. „ბალავერი“ - დირექტორი 2015 წლიდან.
შ.პ.ს. „ტანდემი“ - დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. „ედრი+“ - მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: - საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან.
- მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან.
- პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან.
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან

სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო -საკონსტრუქტორო ბიურო, “რემმშენპროექტი” - წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.

ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი“ - კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2006 წლიდან დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან და შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2016 წელს მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება (ბრძანება №1-1/663 07.12.2016). 2019 წელს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში მრჩევლად (წიგნაკი №5-171 25.03.2019).

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.

სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B“ კატეგორია.

ავტობიოგრაფია

მე, რამაზ აფხაძე დავიბადე 1949 წლის 16 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, მოსამსახურეების ოჯახში. მშობლები ამჟამად გარდაცვლილია.

1966 – დავამთავრე ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საშუალო სკოლა.

1974 – დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით და მომანიჭეს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

1973-76 – განაწილებით ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად საპროექტო ინსტიტუტ „თბილზნიეპი“-ს მე-2 არქიტექტურულ სახელოსნოში.

1976-93 – ვმუშაობდი სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“-ში წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე.

1993 წლიდან სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ვეწეოდი საპროექტო სამუშაოებს. შევასრულე **პროექტების კონსტრუქციული ნაწილები:** სასტუმრო „ტფილისი“ აბანოთუბანში (შ.პ.ს. „კარიბჭე“); ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია; ხაშურის რაიონის გომის სპირტის ქარხნის საჩამომსხმელო საამქრო; „რენო“-სა და „ოპელი“-ს ავტოსალონები ქ. თბილისში; „მეღვინეობა ხარება“-ს ღვინის ქარხანა სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ-ნი); ბორჯომის №1 საჩამომსხმელო ქარხნის საწყობი (შ.პ.ს. „სიმაღლე“); „მაგთივინი“-სა და შ.პ.ს. “ფუძე”-ს საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „კულტმშენი“); ჰიპერმარკეტი „გუდვილი“; კინოთეატრი ბორჯომპარკში; რკინიგზელთა კულტურის სახლი ქ. ფოთში; (შ.პ.ს. „გოდაკო+“); შ.პ.ს. „თეგეტა-მოტორსი“-ს ავტოსერვისცენტრები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „სტუდია-ბეტა“) და ფოთში (შ.პ.ს. „მიშელი“); ქ. თბილისის მე-9 საშ. სკოლა (შ.პ.ს. „არქიტრიო“); ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების რეკონსტრუქციის სამუშაოები (შ.პ.ს. „ინტერსერვისი“); სავაჭრო ცენტრი ორთაჭალაში, ქ. თბილისში და ბაზალეთის ტურისტული კომპლექსი (შ.პ.ს. „ცენტრი“); ქ. თბილისის №187-ე და №48-ე სკოლების გაძლიერება; სასაწყობე მეურნეობა და სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე; საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შ.პ.ს. „შატო მანავი“-ს ღვინის ქარხნის მიმღები და საცავი საამქროები“ (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“); თბილისის სპორტის სასახლისა და სასტუმრო „აჭარა“-ს რეკონსტრუქცია; საოფისე საგამოფენო ცენტრი შარდენზე (შ.პ.ს. „აჭარა+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის ხეივანსა და მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ და წყალტუბოს ქუჩაზე „G“ ბლოკი ქ. თბილისში (შ.პ.ს. „ვატო“); შ.პ.ს. „მერიდიანი“-ს საწარმოო კორპუსი ქიზიყის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი „მარშე“ თ. ერისთავის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი “პანორამა“ დიდ დიღომში, ქ. თბილისში და ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (შ.პ.ს. „ედრი+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე „A“ ბლოკი ქ. თბილისში; შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს ღვინის ქარხნები: საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან, გურჯაანის რაიონის სოველ ველისციხეში და აჭარის არ-ის დაბა ქედაში; შუშის წრთობის საამქრო ავჭალაში, დ. სარაჯიშვილის ქ. №14ა-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. „ტანდემი“); სავაჭრო ცენტრი ქ. ქობულეთში და შ.პ.ს. „მათე-მოტორსი“-ს ავტოსალონი აღმაშენებლის ხეივანზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „არტდიზაინ+“); ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სოფელ ჩიხარიშის „ოქონის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში არსებული „პეტრს ციხე“-ს პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია“); თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო ობიექტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ნაგებობები (შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი“); ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს „შატო“-დ წოდებული შენობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში „თადეოზ გურამიშვილის საგვარეულო მარანი“-ს რეაბილიტაცია და ღვინის სახლის პროექტი (შ.პ.ს. „უნი ჯგუფი“); საკონსერვო ქარხნების პროექტები ქ. ჩოხატაურსა და დაბა ქედაში (შ.პ.ს. „ვაკო“). მოცვის გადამამუშავებელი საამქრო მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში და ხილის გადამამუშავებელი საამქრო ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში (შ.პ.ს. „ბალავერი“).

პროექტების ექსპერტიზა: „ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა“ ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები“ ა. მირცხულავას ქ. №11-ში და გორგასლის ქ. №10-ში, აგრეთვე შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ საცხოვრებელი ჯგუფი „ფიჭვები“ (შ.პ.ს. „თბილსათბობმშენი“); „კლიჩის ხეობის 500 კვ. ეგხ. №212 და №214 ანძების მუშა პროექტი“ და „ეგხ. 500 კვ. ენგურჰესი-ცენტრალური (კავკასიონი) №27ა საყრდენის მუშა პროექტი“ (შ.პ.ს. „ვნვ და კომპანია“); „მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონა“ გორგასლის ქ. №40-ში; შ.პ.ს. „რედ-კო“-ს საცხოვრებელი კომპლექსები გუდაურში და სხვ. (შ.პ.ს. „ედრი+“); ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში „სასტუმრო აბასთუმანში“ (შ.პ.ს. „ბალავერი“)

შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა: გერმანიის საელჩოს შენობა დ. აღმაშენებლის გამზირზე („თბილზნიეპი“); სპორტის სასახლე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „აჭარა+“); სასტუმრო „აჭარა“; ქ. ბორჯომში „კომპოზიტორთა სახლი“; „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“ ქ. თბილისში; შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“-ს ცენტრალური ოფისისა და უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სერვისცენტრის შენობები; გეოლოგიური სამმართველოს შენობა ფალიაშვილის ქუჩაზე ქ. თბილისში; კურორტ საირმეს დასასვენებელი კორპუსები; საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში დ. არაყიშვილის ქ. №2-ში; (შ.პ.ს. „ტანდემი“); ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. №3÷5-ში მდებარე ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა (შ.პ.ს. „ბალავერი“)

მყავს მეუღლე მზია აფხაძე, პროფესიით პედაგოგი. ამჟამად პენსიონერი.

ვაჟი ნოდარი, დაოჯახებული. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შპს ბარაკონში (პროფესიული კოლეჯი) და კრეატიული განათლების სკოლაში.

ქალიშვილი თეა, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ა. ქუთათელაძის სახ. ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146.

ტელ: 263 22 52 მობ: 877 757 028; 5.98 922 254; 5.71 490 107

2022 წლის 22 თებერვალი.

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა აფხაძე

რამაზი ნოდარის-ძეს

მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1974 წელს დაამთავრა

აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.

„29" ივნისის გადაწყვეტილებით

რ.ნ. აფხაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „5" X

სარეგისტრაციო № სტ-3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Апхадзе

Рамазу Нодаровичу

в том, что он в 1968 году поступил

в Грузинский политехнический

ин-ут им. В.И. Ленина

и в 1974 году окончил полный курс

названного института

по специальности

Промышленное и гражданское

строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „29" июня 1974 г.

Апхадзе Р.Н.

присвоена квалификация

инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси „5" X 1974 г.

Регистрационный № ст-3557

Московская типография Гознака. 1972.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
რამაზი
RAMAZI
გვარი / LAST NAME
აფხაძე
APKHADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01003019723
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
16.07.1949
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
16.11.2030
ბარათის No / CARD No
19IC69958
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ლანჩხუთი
LANCHKHUTI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
16.11.2020
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE019IC69958901003019723<<<<
4907163M3011168GE0<<<<<<<<<<<0
APKHADZE<<RAMAZI<<<<<<<<<<<<<

დაჯილდოების

სიგელი

ბატონ რომან აფხაძეს

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული
წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
2016 წლის 7 დეკემბრის №1-1/663 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
მრჩეველი

ბ-ნი *რამაზ ნოდარის ძე*
აფხაძე
(არჩეულია 2019 წლის 25 მარტს)



პირადი ხელის მოწერა
აკადემიის პრეზიდენტი
ა. ფრანგიშვილი

Советник
ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

г-н *Апхадзе*
Рамаз Нодарович
(избран 25 Марта 2019 года)

№ 5- 171

Counsellor of
The ENGINEERING ACADEMY of
GEORGIA

Mr. *Ramaz N. Apkhadze*
(elected on March 25, 2019)